საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
აჭარის ფილიალი



წლიური ანგარიში
2023

28 წელი
ადამიანის უფლებებისთვის

კანონის
უზენაესობა
სამართლიანობისთვის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალი

წლიური ანგარიში
2023

28 წელი

ადამიანის უფლებებისთვის

კანონის უზენაესობა
სამართლიანობისთვის

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა 3

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 4

სამართლებრივი დახმარება 5

სამართლებრივი დახმარების სტატისტიკური მონაცემები 5

2023 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის მიერ
წარმატებით დასრულებული საქმეები 5

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა
  და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს
  გათავისუფლებული სოციალური მუშაკებისთვის კომპენსაციის გაცემა დაევალა 5
- თემურ გორგაძე - მორალური ზიანის ანაზღაურება 6
- ლუკა ნაცვლიშვილის მიმართ სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა 7
- გიორგი დუმბაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა 7
- ზვიად ცეცხლაძე სასამართლომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან
  გაათავისუფლა და მის მიმართ სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა 7
- საიას აჭარის ფილიალის ადვოკატების დახმარებით,
  დამცავი და შემაკავებელი ორდერები გამოიცა 7

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია 8

სხვა აქტივობები 10

შეხვედრები/ლექციები/სემინარები 10

იმიტირებული სასამართლო პროცესები 15

კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 16

ურთიერთობა მედიასაშუალებებთან 17

მისასალმებელი სიტყვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძვირფასო წევრებო, ორგანიზაციის თანამშრომლებო და საიას აჭარის ფილიალის საქმიანობით დაინტერესებულო პირებო,

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წილად მხვდა პატივი და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა, ვიყო საიას აჭარის ფილიალის თავმჯდომარე.

მადლობას ვუხდი თითოეულ იმ ადამიანს, რომლებმაც ამ დროის განმავლობაში მაქსიმალური გაეკეთეს, რათა აჭარის ფილიალს საკუთარი მისია ღირსეულად შეესრულებინა.

განსაკუთრებული მადლობა ასოციაციის თანამშრომლებს, წევრებს და ჩვენს მეგობარ ორგანიზაციებს. მათ გარეშე ფილიალს გაუჭირდებოდა თავისი საქმიანობის წარმატებით განხორციელება.

საიას აჭარის ფილიალისთვის ეს წელი გამოწვევებით სავსე პერიოდი იყო, თუმცა სირთულეებისა და დაბრკოლებების ერთად გადალახვა შევძელით. ამ ანგარიშში ასახულია 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგები, თუმცა ეს დოკუმენტი ბოლომდე ვერ დაიტევს იმ უზარმაზარ შრომასა და ძალისხმევას, რაც ამ პერიოდში ფილიალის თანამშრომლებმა გასწიეს.

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც მუდამ ვიყავით მოვლენათა ეპიცენტრში, ვიდექით იქ, სადაც საფრთხე ექმნებოდა ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობას და ვეხმარებოდით მათ, ვისი უფლებებიც ირღვეოდა და ილახებოდა. ჩვენი მიზანი უფლებათა დაცვის კუთხით პროგრესის მიღწევა და რეგიონში კანონის უზენაესობის მნიშვნელობის გააზრების ხელშეწყობა იყო. ზოგ შემთხვევაში მიზანს მივაღწიეთ, თუმცა ზოგჯერ ჩვენი ძალისხმევა უშედეგოდ რჩებოდა. ყველა ეს მცდელობა ჩვენი მხრიდან უდიდეს პროფესიონალიზმს, გამბედაობას და პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას მოითხოვდა, რასაც ერთგულად ვემსახურებოდით და გვეამაყება, რომ, სირთულეების მიუხედავად, ჯიუტად ვიცავდით ამ პრინციპებს.

ანგარიშში ნახავთ, რომ გულმოდგინე, დაუღალავი და თავდაუზოგავი შრომის შედეგად, რეგიონში არსებული გამოწვევების უმრავლესობას თავი გავართვით. დოკუმენტში რეზიუმირებულად არის წარმოდგენილი წლის განმავლობაში ჩვენი გუნდის მიერ გაწეული შრომა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმიანობა გაცილებით ვრცელი და მრავალფეროვანია.

ასობით გაწეული იურიდიული კონსულტაციის და შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების პარალელურად, გვქონდა ბევრი საინტერესო და წარმატებული საქმე. ვიცავდით პატიმართა უფლებებს, მხარს ვუჭერდით უმცირესობებს დარღვეული უფლებების აღდგენაში, ვეხმარებოდით დასაქმებულებს სასამართლოს გზით სამართლიანობის მიღწევაში. ამავე დროს, აქტიურად ვიყავით ჩართულნი ე.წ. ***„რუსული კანონის“*** *წინააღმდეგ ბრძოლაში. ღირსეულად შევასრულეთ ჩვენი მისია იურიდიული განათლების ხელშეწყობის კუთხით და არაერთ სტუდენტსა თუ სკოლის მოსწავლეს დავეხმარეთ თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. მიმდინარე მოვლენების ფონზე ჩვენი საქმიანობით და მოსაზრებების გაზიარებით დაინტერესებული იყო მედია და ჩვენი გაშუქების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია.*

ამავე დროს, გვაქვს განცდა, რომ გაცილებით მეტი სიკეთის მოტანა შეგვიძლია საზოგადოებისთვის და მჯერა, მომდევნო წლების განმავლობაში ეს ასეც იქნება, რადგან ჩვენი მიზანია ***კანონის უზენაესობის მიღწევა სამართლიანობისთვის.***

პატივისცემით,

თამარ წულუკიძე
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
აჭარის ფილიალის თავმჯდომარე

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი 1995 წლის ოქტომბერში დაფუძნდა. იმ დროისთვის ის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო რეგიონში, რომელმაც შეძლო, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 90-იან წლებში ჩამოყალიბებულ რეჟიმს დაჰპირისპირებოდა. საიას აჭარის ფილიალი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 28 წელია, განუხრელად ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას.

ორგანიზაციაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, პროექტულ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს:

- **ადამიანის უფლებების დაცვა**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა**
- **სამართლებრივი დახმარება**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის დებულებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას აჭარის ფილიალის 2023 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი: 2023 წლის 1-ლი იანვარი - 2023 წლის 31 დეკემბერი.

უცვლელი დევიზია:

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის!

სამართლებრივი დახმარება

საიას აჭარის ფილიალის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევაა. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა ადასტურებს, რომ ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრის საქმიანობა რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საიას აჭარის ფილიალი ყველა დაინტერესებულ პირს თანაბრად უწევდა კონსულტაციას სამართლებრივ პრობლემებზე, მაგრამ, ორგანიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე, საქმიანობის ფოკუსი განსაკუთრებით მიმართული იყო აქტივისტების, ჟურნალისტების, შშმ პირების, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვაზე.

სამართლებრივი დახმარების სტატისტიკური მონაცემები

საიას აჭარის ფილიალის ადვოკატებმა საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარება გაუწიეს 1 190 პირს (მდედრობითი სქესის - 605, მამრობითი სქესის - 579).

წლის განმავლობაში მომზადდა 342 სამართლებრივი დოკუმენტი, ხოლო პირადი კონსულტაცია გაეწია 828 ადამიანს.

სამართლებრივი დახმარება მოიცავდა თითქმის ყველა სფეროს, მაგრამ საიას აჭარის ფილიალს კონსულტაციისთვის უფრო ხშირად მიმართავდნენ კერძო ხასიათის ქონებრივ, შრომით და საოჯახო საკითხებზე.

ანგარიშის მომზადების დროისთვის ფილიალის წარმოებაშია 32 საქმე. აქედან:

- სისხლის სამართლის საქმე - 19
- სამოქალაქო სამართლის საქმე - 1
- ადმინისტრაციული სამართლის საქმე - 12

საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა 5 საქმე.

2023 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის მიერ წარმატებით დასრულებული საქმეები

- **სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გათავისუფლებული სოციალური მუშაკებისთვის კომპენსაციის გაცემა დაევალა**

საია აჭარის ფილიალი იცავდა 2020 წლის 29 იანვარს რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ რამდენიმე სოციალურ მუშაკს. დავის დასრულებამდე, მოპასუხე სააგენტოს აეკრძალა შესაბამისი ვაკანტური პოზიციების ახალი კადრებით შევსება. ამ გადაწყვეტილებით, სოციალურ მუშაკებს მიეცათ გარანტია, რომ შრომითი დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სამსახურში აღდგებოდნენ.

პირველ ეტაპზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა. მისი გადაწყვეტილება შეცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განმარტა, რომ ტოლფას სამუშაოზე აღდგენამ ან კომპენსაციის განსაზღვრამ, შესაძლოა, სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოს მოსარჩელეთა დარღვეული უფლების რეალიზაცია. ასევე, თუ მოპასუხეს არ შეეზღუდება სადავო ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა განუსაზღვრელი ვადით დანიშვნა, არის იმის ალბათობა, რომ შეუძლებე-

ლი გახდეს მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენა, ხოლო სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული კომპენსაცია ვერ ჩაანაცვლებს მათ შრომით უფლებას, ჰქონდეთ სამსახური შესაბამისი ანაზღაურებით.

ამის შემდეგ სოციალური მუშაკების საქმეზე სასამართლო პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 11 ივლისს ჩაინიშნა. საბოლოო გადაწყვეტილებით, მოსამართლემ უკანონოდ მიიჩნია სამსახურიდან მათი გათავისუფლება და მოპასუხეს 28 000 ლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

- **თემურ გორგაძე - მორალური ზიანის ანაზღაურება**

თემურ გორგაძე არის პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი მეტი თავისუფლების“ წევრი და აჭარის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. მას, როგორც მუსლიმი თემის წევრს და პოლიტიკურად აქტიურ პირს, სისტემატურად უსმენს და უთვალთვალებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ამ ფაქტის გაპროტესტების მიზნით, 2021 წლის 12 ნოემბერს მან გადაწყვიტა, გაემართა აქცია-პერფორმანსი უსაფრთხოების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

პროტესტის გამოხატვის დროს თემურ გორგაძე პოლიციამ შეკრებებისა და მანიფესტაციების წესის დარღვევისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით დააკავა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, ის სამართალდამრღვევად ცნეს მხოლოდ პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის, სახდელის სახედ და ზომად კი 5 დღე-ღამით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა. მოგვიანებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა თემურ გორგაძის სააპელაციო საჩივარი და ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება გააუქმა.

2022 წლის 11 მარტს თემურ გორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აჭარის მთავარი სამმართველოს პოლიციის დეპარტამენტს მორალური ზიანის სახით 500 ლარის გადახდა დაეკისრა.

- **ლუკა ნაცვლიშვილის მიმართ სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა**

2023 წლის 3 ივნისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ქ. ბათუმში, ევროპის მოედანთან მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს მისი მონაწილე ლუკა ნაცვლიშვილი დააკავეს. დაკავების საფუძვლად ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებდა, რომ ის არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, იგინებოდა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და, ზოგადად, ხელისუფლებას, ასევე, ხელში ეჭირა შეურაცხმყოფელი ბანერი, რომელზეც ეწერა '„ირა*ლი''. გარდა ამისა, სამართალდამცველთა განმარტებით, ამ ფაქტის აღკვეთის მოწოდების შემდეგ მან პოლიციელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარის განმარტებით, ზემოთ მოყვანილი ბრალდებები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. საბოლოოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ლუკა ნაცვლიშვილის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება სასკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაცდომასთან დაკავშირებით, სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. ხოლო სასკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში სასამართლომ ის სამართალდამრღვევად ცნო, მაგრამ გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

- **გიორგი დუმბაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა**

2023 წლის 3 ივნისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ქ. ბათუმში, ევროპის მოედანთან მიმდინარე აქციის დროს დააკავეს გიორგი დუმბაძე, იმავე საფუძვლით, რომელიც ზემოთ მოყვანილ საქმეშია განხილული.

ამ საქმეშიც ბენეფიციარი განმარტავდა, რომ მის წინააღმდეგ მოყვანილი იყო ცრუ ბრალდებები. სასამართლომ იმსჯელა და გიორგი დუმბაძის მიმართ შეწყვიტა საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებულ გადაცდომებთან დაკავშირებით, სამართალდარღვევის ფაქტების არარსებობის გამო.

- **ზვიად ცეცხლაძე სასამართლომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გააათავისუფლა და მის მიმართ სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა**

ქ. ბათუმში, 3 ივნისის აქციაზე კიდევ ერთი მონაწილე, ზვიად ცეცხლაძე დააკავეს იმავე საფუძვლით, რომლითაც ზემოთ აღწერილ ორ საქმეში ნახსენები პირები. მოცემულ შემთხვევაში, ზვიად ცეცხლაძე სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში, თუმცა ის გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

- **საიას აჭარის ფილიალის ადვოკატების დახმარებით, დამცავი და შემაკავებელი ორდერები გამოიცა**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის სტრატეგიულ მიმართულებად რჩება საქმიანობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საანგარიშო პერიოდში ოჯახში და ქალათა მიმართა ძალადობის მსხვერპლებს საიას აჭარის ფილიალის ადვოკატებმა მოუმზადეს არაერთი დოკუმენტი და გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია.

გარდა ამისა, ფილიალის ადვოკატის დახმარებით, 10-მდე ქალმა მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით. სასამართლომ მათი უმრავლესობა დააკმაყოფილა და გამოსცა დამცავი ორდერები მოძალადეებისთვის უფლებების შეზღუდვის თაობაზე.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში (რომელიც 25 ნოემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდა) საიას აჭარის ფილიალი არაერთ შემეცნებით ღონისძიებაში მონაწილეობდა.

25 ნოემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, მათ შორის, ფონდ „იალქნის" ახალგაზრდული ცენტრის წევრებთან. საუბარი, ძირითადად, ნაადრევ ქორწინებას, მის გამომწვევ მიზეზებს და მასთან ბრძოლის მექანიზმებს შეეხებოდა. შეხვედრას ქობულეთის სხვადასხვა სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ამავე კამპანიის ფარგლებში 27 ნოემბერს შეხვედრები გაიმართა სოფელ დაგვისა და ციხისძირის მოსახლეობასთან. ძირითადი თემატიკა ამჯერადაც იყო ოჯახში ძალადობა, მისი გამომწვევი მიზეზები და ბრძოლის მექანიზმები.

29 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრის მთავარი თემა კვლავ ოჯახში ძალადობა, მისი პრევენციის მექანიზმები, ასევე შემაკავებელი და დამცავი ორდერის, როგორც მსხვერპლის დაცვის ძირითადი ინსტრუმენტის განხილვა იყო. აგრეთვე, დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო პრაქტიკისა და მოქმედი სამართლებრივი მიდგომების შესახებ.

4 დეკემბერს ამავე კამპანიის ფარგლებში აჭარის რადიოს გადაცემა „კონტაქტში“ ვისაუბრეთ ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის არსებულ მექანიზმებზე, ასევე, განვიხილეთ საზოგადოების როლი ამ პროცესში.

სხვა აქტივობები

შეხვედრები/ლექციები/სემინარები

საიას აჭარის ფილიალის იურისტი ირმა აბაშიძე, „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან“ ერთად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარას მოსახლეობას შეხვდა. მათთვის გაწეული სამართლებრივი კონსულტაცია, ძირითადად, მოიცავდა შემდეგ საკითხებს: მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები, სამკვიდრო ქონების მიღება, სანოტარო მოქმედებების განხორციელება, ასევე, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება.

გასვლითი აქტივობები

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში ჩართულმა მოსწავლეებმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალში პრაქტიკული სწავლების კურსი გაიარეს. ამ კურსის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეთვალიერებინათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. პრაქტიკოსმა იურისტებმა მონაწილეებს გააცნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის სპეციფიკა და მისი როლი კანონშემოქმედებით პროცესში.

2023 წლის 19 მაისს, „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ორგანიზებით, გაიმართა რეგიონული ფორუმი „სამოქალაქო საზოგადოება მოხალისეობის განვითარებისთვის”. გამოფენაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლებმა დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია ფილიალის საქმიანობის და მასში მოხალისეობრივი ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ.

შეხვედრები/ფორუმები

სამართლის უზენაესობის რეგიონულ ფორუმს ქალაქმა ბათუმმა უმასპინძლა. შეხვედრა 2023 წლის 20 ნოემბერს გაიმართა. მასში იმერეთის და აჭარის რეგიონის მართლმსაჯულების სფეროს, უნივერსიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის 70-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ღონისძიება ჩატარდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ბათუმისა და ქუთაისის კანონის უზენაესობის რეგიონული ჰაბების ფარგლებში. შეხვედრაზე საიას აჭარის ფილიალის თავმჯდომარე სპიკერად იყო მიწვეული.

2023 წლის ნოემბერში ბრიტანეთის ელჩი მარკ კლეიტონი ბათუმში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.

2023 წლის ივნისში ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი ესტუმრა აჭარას. ვიზიტის ფარგლებში ის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრისას ხაზი გაესვა ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით.

2023 წლის მაისში აჭარის ფილიალს ამერიკის შეერთებული შტატების გერმანიის მარშალის ფონდი (The German Marshall Fund of the United States) ეწვია. სტუმრებს შორის ასევე იყვნენ ისეთი საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები, როგორებიცაა The Guardian, Voice of America, DIE ZEIT. შეხვედრაზე მსჯელობა წარიმართა ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობასა და საიას საქმიანობაზე.

ლექციები/სემინარები

საიას აჭარის ფილიალის ორგანიზებით, 2023 წლის 15 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა იურისტის პროფესიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე. ლექცია შეეხებოდა მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებს, პროკურორის საპროცესო გარანტიებსა და ადვოკატის საქმიანობის სპეციფიკას. შეხვედრას საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის თანაშემწეები უძღვებოდნენ.

სარჩელის შევსების მეთოდიკასთან დაკავშირებით 2023 წლის 7 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფორმატში მონაწილეებმა განიხილეს კონკრეტული საქმე, მომზადდა სარჩელი და პასუხები გაეცა სტუდენტების შეკითხვებს.

2023 წლის 28 ოქტომბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შრომის სამართლის სკოლის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს „შრომითი მიგრაციის შესახებ'' კანონი და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. სესია გაიმართა ა(ა)იპ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „ბათუმთან“ (ELSA Batumi) თანამშრომლობის ფარგლებში.

2023 წლის 19 მაისს, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „ბათუმთან“ (ELSA Batumi) თანამშრომლობით, ჩატარდა საჯარო ლექცია „ადამიანის უფლებები დინამიკაში”. ლექციის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დინამიკას 21-ე საუკუნეში, არამედ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის საქმიანობასაც.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

საიას აჭარის ფილიალის ორგანიზებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა 2 იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მოსწავლეებს მენტორობას აჭარის ფილიალის ადვოკატის თანაშემწეები უწევდნენ.

იმიტირებულ პროცესამდე მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრა სალექციო ფორმატში, სადაც მათ საშუალება ჰქონდა, მიეღოთ თეორიული ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან საკითხებზე. ლექციის თემატიკა პროკურორის უფლებამოსილების ფარგლებს, დაცვის მხარის საპროცესო გარანტიებს, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს მოიცავდა.



კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

იურიდიული პროფესიის განვითარებისა და ახალგაზრდა იურისტთა პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს სტაჟირების პროგრამას, რომელიც საიას აჭარის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში ფუნქციონირებს.

პროგრამა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და კურსდამთავრებულებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებას აძლევს. სტაჟირების პროგრამა 6 თვე გრძელდება და მისი მონაწილეები სპეციალური კონკურსის გზით შეირჩევიან.

ურთიერთობა მედიასაშუალებებთან

2023 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის იურისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ მედიასაშუალებებთან, მათ შორის, გაზეთებთან „ბათუმელები“ და „აჭარა“.

gazetiajara.ge
,,თითოეული იურისტი დიდ ძალისხმევას, ენერგიას და რესურსს დებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში"



batumelebi.netgazeti.ge
როცა დედობილი ხარ და ბავშვი სხვას მიაშვილეს – ინტერვიუ იურისტთან

საანგარიშო წლის განმავლობაში ფილიალის იურისტები არაერთხელ ესტუმრნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს გადაცემებს და აქტუალურ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს.





პარალელურად, ვთანამშრომლობდით სხვა მედიაორგანიზაციებთან: „TV-25“, „ფორმულა“, „მთავარი არხი“, “palitra news”, „რადიო თავისუფლება“.

ამავე დროს, საიას აჭარის ფილიალი აქტიურად პოზიციონირებს სოციალურ მედიაში. ორგანიზაცია ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას საკუთარი აქტივობების შესახებ. აჭარის ფილიალის Facebook-გვერდს 5000-ზე მეტი გამომწერი ადევნებს თვალს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
აჭარის ფილიალის მმართველო ორგანო - გამგეობა:

თამარ წულუკიძე - გამგეობის თავმჯდომარე
პაატა დიასამიძე - წევრი
ნონა ქოქოლაძე - წევრი
რუსლან წულუკიძე - წევრი
მირზა მამულაძე - წევრი

საიას აჭარის ფილიალი

მემედ აბაშიძის ქ. №48, 6010

ტელ: (0422) 27 66 68

ელფოსტა: batumi@gyla.ge